



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბუნია მანანა კალისტრატეს ასული

გაბუნია მანანა კალისტრატეს ასული (დ. 12. II. 1937), არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1994). არქეოლ. კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი. 1961-იდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინ-ტში; 1994-იდან ლექციებს კითხულობდა თსუ-ის ახალციხის ფილიალში. 1963-იდან თრიალეთში მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა მეზოლითური ხანის ძეგლების შესწავლა. წალკასთან პატარა ხრამის ხეობაში, პირველად საქართველოში გამოვლინდა ძვ. ადამიანის მიერ შესრულებული ნაკაწრი ნახატები – პეტროგლიფები. ამჟამად იკვლევს სამცხე-ჯავახეთში არსებულ ძვ. ქვის ხანის ძეგლებს (აშელური ხანიდან მეზოლითური ეპოქის ჩათვლით).

თხზ.: ეძანის ეხის ქვის ინვენტარის სტატისტიკური მეთოდით შესწავლის შედეგები, კრ.: მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 6, თბ., 1974; თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976; პატარა ხრამის პეტროგლიფები, თბ., 1980 (თანაავტ.); პირველი ზედაპალეოლითური სადგომი ჯავახეთის ზეგანზე (ბავრის მღვიმე (ბავრის მღვიმე 1), „მაცნე“ 1988, № 2, (თანაავტ.); Мезолит Грузии, «Краткие сообщения Института Археологии», №149, М., 1977 (თანაავტ.).

ბ. ჯორბენაძე
